

სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების

პირობები და წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის #8/წ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ საფუძველზე და ადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურებს, განსაზღვრავს განცხადების განხილვის პროცედურას, ადგენს განცხადების წარდგენის ვადას; განსაზღვრავს კომისიის საქმიანობისა და სათანადო დოკუმენტით დადასტურებული, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპონენტებად ჩათვლის წესს; გამოცდის ჩატარების თავისებურებებს.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ფარგლები

1.არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I–III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

2.არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია

1.არაფორმალური განათლების აღიარებას ახდენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია (შემდგომში კომისია), რომელიც იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

2.კომისიის წევრების დანიშვნა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

3.კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;
- ბ) დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები, რომლებიც არ უნდა წარმოადგენდნენ დაწესებულების თანამშრომლებს;
- დ) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

მუხლი 4. წარსადგენი დოკუმენტები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებას უნდა წარუდგინოს:

- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერთიფიკატი და ა.შ)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია: ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება, არსებობის შემთხვევაში. პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩამოთვლა, გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2. დაწესებულება ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

3. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

4. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში, მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურის ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებელი კომპეტენციები. ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამის დასაბუთებას.

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას;

5. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

6. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

7. გადაწყვეტილებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით